საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

ოთხშაბათი აპრილის 20

1921 წ.

№ 42

ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე“
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 1500 მან.

საქართველოს დრამის დირექცია, რეჟისორა და მსახიობნი აუწყებენ საქართველოს მოქალაქეთ, რომ აპრილის 17-ს გარდაიცვალა ქართული თეატრის დამსახურებული მსახიობი

## კოტე ყიფიანი

პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში ყოველ დღე საღ. 6 ს. პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს 6 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში, სადაც მიცვალებული ასვენია. წირვის შემდეგ გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს აპრილის 21 შუადღის 12 საათზედ 18

---

ეკატერინე ტატიშვილისა, ნიკოლოზ, ბეჟან და დიმიტრი ტატიშვილები და ელისაბედ ფხაკაძისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი

## კოტე ყიფიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე ქვაშვეთის ეკლესიაში სალამოს 6 საათზე, პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს 6 საათზედ ქვაშვეთის ეკლესიაში, სადაც მიცვალებული ასვენია. წირვის შემდეგ გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს აპრილის 21 შუადღის 12 საათზედ 819

---

მოხიკო ყიფიანისა, ელია, ვაჟობ და ალექსი ყიფიანები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი

## კონსტანტინე დიმიტრის ძის ყიფიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე ქვაშვეთის ეკლესიაში სალამოს 6 საათზე პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს 6 საათზედ ქვაშვეთის ეკლესიაში, სადაც მიცვალებული ასვენია წირვის შემდეგ გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს აპრილის 21 შუადღის 12 საათზედ 820

---

კვირას, აპრილის 17-ს, ძძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა

## კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის ძმისწულები: ელისაბედ სულხანიშვილისა შვილებით, ბარბალე და ნინო ყიფიანი. პანაშვიდი ყოველ დღე ქვაშვეთის ეკლესიაში სალამოს 6 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს 6 საათზედ ქვაშვეთის ეკლესიაში, სადაც მიცვალებული ასვენია. წირვის შემდეგ გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს აპრაპრილის 21 შუადღის 12 საათზედ 821

---

კვირას, აპრილის 17-ს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი

რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე მისი ნინო ბეჟანის ასული ყიფიანისა. პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში ყოველ დღე სალამოს 6 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს 6 საათზედ ქვაშვეთის ეკლესიაში, სადაც მიცვალებული ასვენია. წირვის შემდეგ გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს აპრილის 21 შუადღის 12 საათზედ 8 2

---

თამარი და კოწია ჯაფარიძე შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი ბიძის

## კოტე ყიფიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე ქვაშვეთის ეკლესიაში სალამოს 6 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღეს სალამოს 6 საათზედ ქვაშვეთის ეკლესიაში, სადაც მიცვალებული ასვენია, წირვის შემდეგ გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს აპრილის 21 შუადღის 12 საათზედ 823

---

გულდამწვარნი ძმები ნიკო და ზურა მეუღლით ჩხეიძენი მამიდაშვილები ბიძინა მეუღლით და შალვა ლომბაძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი

## იაგორასი (გიორგი) ივანეს ძე ცქიტიშვილის

დასაფლავება ქ. ქუთაისში 21 აპრილს ხუთშაბათს. 830

---

გიორგი ტატიშვილი და პელაგია კონსტანტინეს ასული ტატიშვილისა შვილები: ალექსანდრე, ბეჟან და შალვა, რძალი მარიამ ივანეს ასული ტატიშვილები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი ბიძის

## კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს 6 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში სადაც მიცვალებული ასვენია, წირვის შემდეგ გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, აპრილის 21 შუადღის 12 საათ. 834

---

კოოპერატივ „დახმარება“-მ მიიღო

ქართლიდან ვაშლი

(„ანტონოვკა“, წითელი „კალვილი“, ბროცკი“) წვრილ ნაყიდვით 20 გირ., არა წვრილ 5 გირვანქამდე

მიღება შეიძლება კოოპერატივის ორივე განყოფილებებში (თბილისი. მოედანი, თამამშევის ქ. 8 და 26 მაისის ქ № 28). 828

# ფურცლები

16

**რკინის გზა.**

ადგილობრივ გაზეთებში დაბეჭდილია 16 აპრილის სხდომა უმაღლესი კომისიისა ამხ. ს. ორჯონიკიძის თავმჯდომარეობით, სადაც ჩვენი ცხოვრების ერთი უმთავრესი საკითხი იყო დასმული—რკინის გზისა. სხდომას დაესწრო ჯარების სარდალი გეკერი, რუსეთის გზების კომისარი ფომინი, ამიერკავკასიის ოლქის გზათა უფროსი მარკოვი, აზერბეიჯანის გზათა წარმომადგენელი მირონოვი, საქართველოსი—რუცკი და სომხეთისა—შავერდოვი.

კომისიის დადგენილებით ხსენებული გზები გაერთიანდეს ამიერ კავკასიის გზების სახით, რომელსაც სათავეში უდგება მოქ. მირონოვი. დადგენილების თანახმად აზერბეიჯანის მართველობა, როგორც ნაწილი, დარჩება ბაქოში, სომხეთისა—ერევანში, საქართველოს შესახებ ჯერ-ჯერობით გამოქვეყნებულ დადგენილებაში არაფერია ნათქვამი.

ჭეშმარიტად, რკინის გზის საკითხი არის ერთი დიდი საკითხთაგანი და ჩვენ გვესმის, რომ ამ საკითხის გარშემო ჩვენს საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმაა, ამ საკითხში მრავალი მხ რია ჩაქსოვილი, პოლიტიკური, წმინდა ტექნიკური, ნაციონალურიც. ჩვენ ამ საკითხის გადაჭრა, როგორც ეს მ ხდა—მიგვაჩნია მხოლოდ ტექნიკურ გადაჭრად, ერთი უმთავრესი საბუთი ამისა ის არის, რომ საკითხი გადაჭრილია უმაღლესი კომისიის მიერ, რომელიც უმთავრესად სწავლობს სამხედრო-ტექნიკურ საკითხებს, ხოლო ადგილობრივ ერების პოლიტიკური უმაღლეს ხელისუფალთ—საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის რევოლიუციონურ კომიტეტებს საკითხის საბოლოო გადაწყვეტისათვის არ უთქვამ საბოლოოდ თავისი სიტყვა.

თავისთავად რკინის გზების შორის ტექნიკური კავშირის აღდგენა და განმტკიცება არა თუ მავნებელი, ძლიერად საჭირო და აუცილებელია. თანამედროვე ეკონომიური კულტურა მიიზიდავს მჭიდრო სოციალურ და ეკონომიური შეკავშირებისაკენ ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ საქართველოში არ არის არც ერთი მოლვაწე, არც ერთი ადამიანი, რომელიც უარყოფდეს კავშირს და მეზობლებთან მჭიდრო ურთიერთობას.

ჩვენ ჯერ არ ვიცით, როგორი აქვს გაგებული უმაღლეს კომისიას ეს ურთიერთობა. როგორც ძველი რუსეთი, ისე ახ ლა რუსეთი ყოველ დღეს იცნებობს ევროპასთან გზაბას პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა და ჩვენ გვწამს, რომ ეს ურთიერთობა რუსეთსა და ევროპას შორის აუცილებლივ აღსდგება.

საუკეთესო პირობა მჭიდრო კავშირისა იქნება სოციალისტური რუსეთის სოციალისტურ ევროპასთან ურთიერთობა, მაგრამ როგორ იქნება სოციალისტურ რუსეთის კავშირი სოციალისტურ ერებთან? ეს კავშირი აუცილებლივ წინასწარ მოლაპარაკების და შეთანხმების ნიადაგზე წარმოსდგება და ამისათვის კიდეც არსებობს საგანგებო საკონვენციო ტრაქტატები, რომლითაც დაცულია პირობის ყოველ მხარეთა ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები.

სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, ან კიდევ სხვა ფორმა სახელმწიფოებრივ სტრუქტურისა ოდნავადაც არ ნიშნავს რკინისგზების ქსელთა დაყოფა, მისი კარჩაკეტ ლობა. საქართველოსა და აზერბეიჯანის შორისაც არსებობდა პირდაპირი მიმოსვლა, მაგრამ ეს იყო თანასწორ უფლება მოლაპარაკების, შეთანხმების და განსაზღვრულ ვალდებულებათა ნიადაგზე.

არ ვივიწყებთ, რომ ეხლა ყოველგვარი ნიადაგი ურთიერთობისა შეიცვალა, ჩვენთვის ჯერ არ არის გამორკვეული კონკრეტიული ფორმა საქართველოს დამოუკიდებლობისა, არც ის ვიცით მარტივად როგორი ჩამოყალიბდება სისტემა რუსეთის ფედერაციისა. ფედერაციაც არის და ფედერაციაც. კოკოშკინის და მილიუკოვის რუსეთის საფედერაციო კონცეპციას ჩვენ არასოდეს გავიზიარებთ, ჩვენ ყოველთვის ვაწერდით ჩვენს დროშას ნაციონალურ ეგალიტარიზმის პრინციპს, როგორც საფუძველს ფედერატების შეკავშირებისათვის, ეს პრინციპი ერთიადერთი დებულებაა სადაც სოციალისტური ფედერალიზმისა და ამ ნაციონალურ ეგალიტარიზმს ვერ მოშორდება ვერც ერთი ქვეყანა და ვერც ერთი, რომელიც არ შორდება რევოლიუციონურ და სოციალისტურს შეხედულებებს, მაგრამ რა გვარი ფედერაციაც არ უნდა იყოს, ყველა ფედერატს აქვს საერთო საფედერაციო ინტერესებთან ინტერესები კერძო ფედერატისა, ინტერესები ენის, საერთო კულტურის, ისე ეკონომიკის.

თანამედროვე ფედერაციებში არის ყოველივე ატრიბუტი საკუთარი კულტურისა, არის ელემენტები ეკონომიური ავტონომიისა თუმცა ყოველივე ეს ალიაროებული და მიჩნეულია ფედერატიულ სახელმწიფოს საერთო კეთილდღეობის ნიადაგზე.

ჩვენ ვიცით, საქართველო ჩადგა რუსეთის სარევოლიუციო შეთაქმედების ფერხულში, რუსეთის რევოლიუციის დღესასწაული ჩვენ მიგვაჩნია საქართველოს ის ოდესღაც ხალხის და ერის დღესასწაულად, ეს საერთო ბრძოლა ლიტონი დეკლარაციას არ ნიშნავს—თავსაკვიროველია—ამისათვის საჭიროა ფაქტიური თანამშრომლობა და ურთიერთი დახმარება საქართველო—რუსეთისა, მაგრამ ყოველივე ამ საერთო სარევოლიუციო მიზნას სამსახური უფრო ადვილად, უფრო გონივრულად, უფრო წესიერად მოხდება ეროვნული სახეობის და ატრიბუტების ნუსხავით.

კონვენციების საკითხი, ფინანსიური, ეკონომიური ტრანსპორტის და სხვა ტექნოლოგიური საკითხები მეტად რთული, საპასუხისმგებლო, ძძიმე საკითხებია. დიდი სიფთხილეა საჭირო, დიდი ცოდნა, დიდი გამოცდილება. შესაძლოა რთული საკითხი ადვილად დაიწყოს ქაღალდზე, გადაიჭრას, გამოცხადდეს, მაგრამ თვით ხალხი, რომელიც დედაა რევოლიუციის, ის შეცდომით გადადგმულ ნაბიჯებს მეტად ადრე იგებს, გაიცდის მის გავლენას და იმდენად ეწვევა ცხოვრების ავტორებს, რამდენადაც ის გამოხატავს მის მტკიცე ნებისყოფას, მის იდეალს ხალხისნურ გრძნობებს.

მხოლოდ ამ სიფთხილით ვხსნით ჩვენ რომ რკინის გზების რეორგანიზაციის საკითხში ჯერ-ჯერობით რეგკომები სდუმან, მხოლოდ ამით ვხსნით, რომ რკინისგზების საკითხი დასმულია არა ფართოდ, არამედ ვიწრო ტექნიკურ პირობის თვალსაზრისით და დატოვებულია სომხეთში, აზერბეიჯანში და საქართველოში საკუთარი გზის საკუთარი და დამოუკიდებელი მართველობა საკუთარი ენით საკუთარი პერსონალური აპარატით.

ბევრი გამოიყენებს უმაღლეს კომისიის მიერ გადადგმულ ნაბიჯს რკინის გზის გარშემო სხვა და სხვა არა სასურველ ხმებისათვის, ბევრი ვიგინდარა საქართველოს ძტერი ძართლაც გამოახტებს ნაციონალისტურს ხმას ამის გარშემო, ბევრი შეეცდება თავისი ქანგიანი გულით უთხრას საქართველოს რკინის გზების მუშებს: შენი დრო წავიდა, თავი ჩაღუნე, დაიჩოქე, შენი თვალი ვეღარ იხილავს საქართველოს ბრწყინვალე სხივებს და სხვა, მაგრამ ამ ვიგინდარებს რევოლიუციასთან და ეროვნულ თავისუფლებასთან არავითარი კავშირი არ აქვთ, ისინი ყოველთვის წყლის ამღვრევის როლს თამაშობენ და მათ ჩვენ ვეტყვით: გაჩუმდით, საქართველო არ მომკვდარა, ხოლო ქართველი მუშა არ ჩაღუნავს თავს ვიდრე მის გულში საქართველოს სიყვარული ღვივის, ვიდრე საქართველოში არის ქართველი, რომელსაც ვერასოდეს ვერ დაივიწყებს საქართველოს, რომელიც არ უნდა იყოს იგი...

თედო ღლონტი

# როგორ უნდა გავიგოთ?

გაზ. „კრასნი ვოინში" არის დაბეჭდილი მისალმება კახელ ოსებისაგან წითელი არმიისა და სამოქალაქო წარმომადგენლისადმი ს. რ. ს. ფ. საქართველოში:

„თქვენ მოგეხსენებათ, თუ როგორ გვაწვალებდა საქართველოს მთავრობა ჩვენ სამხრეთ ოსებს მთელი სამი წლის განმავლობაში იმისათვის, რომ ჩვენ ვიყავით ბოლშევიკების და საზოგადოდ რუსობის მომხრე".

ჩვენ დავას არ აუტეხდით მისალმების ავტორთ იმაზე, თუ რა უტაქტოდ ხშირად მოუხეშავ პოლიტიკას აწარმოებდა მენშევიკური მთავრობა ჩვენში მოსახლე ზოგიერთ წვრილ ერებთან დამოკიდებულების დროს. მაგრამ ჩვენ გვიკვირს და ვერ გაგვიგია უკანასკნელი სტრიქონის უკანასკნელი სიტყვები: „საზოგადოთ რუსობის მომხრე".

რუსობას, როგორც ასეთს, რასაკვირველია არავინ ებრძვის და შეუძლებელია ებრძოლოს. მაგრამ საკითხი ასე შეუძლებელია დაისვას. ჩვენ ვებრძვით არა განსაზღვრულ ერს, არამედ საზოგადოდ ერის ყალბ ელემენტს, რომელიც ყოველთვის საზიფათოა სოციალისტურ შემოქმედებისათვის და ჩვენ გვიკვირს და ვკითხულობთ: ნუ თუ მართლა განურჩევლად უნდა დავიცვათ რომელიმე წრე ერისა მხოლოდ იმიტომ, რომ ის წრე ეკუთვნის რუსობას?

**ჩანი.**

# ერთი გზა ორი მიხვეული *)

2

**მეშჩანიზმი.**

წარსულ წერილში ჩვენ აღვნუსხეთ შინაარსი იმ ორი მიმდინარეობისა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს საზოგადოებაში და რომელნიც სხვა და სხვა მიხვეულით არსებითად ერთ მიზანს ემსახურება. მაგრამ იმავე წერილის ბოლოს ჩვენ დავსვით საკითხი: რომელია ერთი გზა?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არის მიზანი ამ წერილისაც. თვით ამგვარად საკითხის დაყენება ამჟღავნებს იმასაც, რომ მისი პასუხი არაფერს შემთხვევაში დილემური ხასიათის არ იქნება; იგი გულისხმობს აგრეთვე სხარტულ პასუხსაც, შეკუმშულ წინადადებაში გამოთქმულს, რომლის შინაარსი ჩვენგან გადახსნილ-განათებული უნდა იქნეს.

ჩვენ ვიცით, რომ დემოკრატიის ფართო მასასაც კი აღიზიანებს ის პასუხი, რომელიც შეიძლება მიცემულ იქნას ზემოთ დასმულ კითხვაზე. და სწორედ ამიტომ გვინდა გავსწმინდოთ ქართველი დემოკრატიის აზროვნება იმ ჩაჭედილ მეშჩანიზმისაგან, რომელმაც აგრე გაიდგა ფეხები მის შეგნებაში, ავიყვანოთ იგი ამ საკითხის გაგების სიმაღლემდის და შემდეგ გავსცეთ მას სათანადო პასუხიც.

ქართველი დემოკრატია, რომელიც ერთგვარ მოწინავის როლსაც კი კისრულობდა რუსეთის მუშათა მოძრაობაში, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ და სხვა ობიექტიურ პირობათა გამო, მოქცეულ იქმნა თავის ვიწრო ცხოვრების ნაჭუჭში; და სრულიად დაეცა მისი რევოლიუციონური ეგზალტაცია მპყრობელურ რუსეთის კედლებს რომ ეხეთქებოდა. ბურჟუაზიული და კაპიტალისტურათ საკმაოდ განვითარებული რუსეთი იყო მისი კლასობრივი ბრძოლის მასაზრდოებელი. 26 მაისის აქტმა ეს მიზეზი კი საბოლოვოდ მოსპო. ჩვენ მუშათა კლასს და დემოკრატიას არ ყავდა ისე ჩამოყალიბებული და ძლიერი ბურჟუაზიული მეტოქე, როგორსაც იგი ხედავდა რუსეთში და ამიტომ მისი კლასობრივი ბრძოლის ტემპერამენტი დადაბლდა სრულიად ბუნებრივად. იყო მეორე მხარე, ფრიად მნიშვნელოვანი და საბედისწერო, რომლის სათანადო გზით მიმართვა მისცემდა დემოკრატიას რევოლიუციონური ენტუზიაზმის თვის საკმაო ენერგიას, საკმაო საზრდოს—ეს იყო ეროვნული საკითხი და საქართველოს დამოუკიდებლობა. მართლაც ჩვენი დემოკრატია თავიდანვე მთელი ძალ-ღონით ელსავსე ჩაება ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას და ეს იყო ის ნიადაგი, რომელზეც ნაყოფიერად შეეძლო მას გაეფურჩქნა თვისი რევოლიუციონური ძლიერება, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

მენშევიკური პოლიტიკის წყალობით მოხდა სრული იზოლიაცია ქართველი დემოკრატიისა რევოლიუციისაგან, რევოლიუციონურ რუსეთისაგან. საქართველოს დამოუკიდებლობას და ჩვენი სახელმწიფოს არსებობას, როგორც ასეთს, აქ არაფერი ბრალი არ მიუძღვის. აქ, თუ კი დამნაშავეზე შეიძლება ლაპარაკი, მსჯავრის სიმძიმეს წარსული მენშევიკური პოლიტიკა კისრულობს. ქართველ მშრომელს წაერთვა ის საშუალებაც, რომლითაც მას შეეძლო ზიარებოდა ეროვნული იდეის რევოლიუციონერობას ანტანტის ქვეყნებთან ყოფილი მთავრობის მიერ დაახლოვებული ქსელის ჯაჭვის გამო. ეროვნული საკითხი და დამოუკიდებლობის საკითხი შეიქმნა საკითხად ევროპის რეაქციონური ბურჟუაზიისა, რომლისგანაც იყო თითქოს დამოკიდებული ჩვენი დამოუკიდებლობაც. კავკასიონის ქედს გადმოსული მომხდარი რევოლიუცია, უარყოფითად შეუკავშირეს ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობას. ეროვნული საკითხი, თავისთავად რევოლიუციონური, რევოლიუციისაგან განყვეს და ევროპის კონტრ-რევოლიუციას შეუკავშირეს. ამით გარყვნეს და დაამცირეს ჯერ კიდევ ახლად აღორძინებული იდეა, ჩაგრული ერის, საქართველოს დამოუკიდებლობისა და მოაკლეს ის რაც ყველაზე ძვირფასია მისი არსებობისათვის—რევოლიუციის კავშირი.

ამით რა მოხდა მუშათა სულიერ განწყობილებაში?—სრული გადამტვრევა მისი რევოლიუციონური ექსტაზისა ანტანტის ბურჟუაზიის ვიწრო ეგოისტურ და წვრილმანურ ქარქაშსზე. ანტანტის გავლენამ გაანელა გუშინდელი ცხელი მებრძოლის გული თავდავიწყებამდის რომ მტლად ედებოდა სანუკვარ ზრახვებს. შმაგობამდის მისული რაინდობა ქართველი დემოკრატიისა თანდათანობით გადახურდავდა პირადი კეთილდღეობის, მშვიდი და მყუდრო ცხოვრების სიყვარულზე, თუ გინდ იგი მონობის ფულად დაჯდომოდა.

მის აზროვნებას ოპორტიუნიზმისა და „ობივატელშჩინის" სალტები შემოერტყა და ფართო ჰორიზონტზე მოძრავი საკაცობრიო იდეალები სადღაც მიიფარა.

ხშირად შეხვედრივარ მუშას, რომელსაც შემოუჩივლია: ნეტავ სად არის ის სიტკბოება განცდისა, რომელსაც ვღებულობდით ადრე რევოლიუციამდე, როცა არალეგალურ მუშაობას ვაწარმოებდით?

რად მოხდა ასე? რად დაეკარგა საქმეს, დღეს მუშისგან გაკეთებულს მუშისათვისვე ტკბილი ღელვის განცდის უნარი?

ნუ თუ იმიტომ, რომ საქმე, რომელსაც მუშა თუ სხვ. დარგის მშრომელი ასრულებს ქარხანაში თუ მეურნეობაში არ გამოდგება ნიადაგად „ტკბილი განცდის" მომცემ ბრძოლისა? ნუ თუ ეროვნული საქმე, ეროვნული სახელმწიფოს სიყვარულისთვის მუშაობა არ არის საკმაო ფუძე უმაღლესი რევოლიუციონური გემოს მიღებისათვის?

—არა, ეს მართალი არ არის.

მართალია მხოლოდ ის, რომ გახრწნილი კაპიტალიზმის სიომ დაჰკლა ჩვენი დემოკრატიის პერსპექტივები, დასავლეთ ევროპიდან რომ ასე შემპარავად ჰქროდა. წაართვა ამ პერსპექტივებს საკაცობრიო ღირებულების მნიშვნელობა და ეგოისტურ, პირადულ მოთხოვნილებამდის დაამდაბლა, დააწვრილმანა იგი.

ჩვენს დემოკრატიას, დღიდან მენშევიკური მეუფების დამყარებისა, არ დაუსვამს საკითხი საერთაშორისო მაშტაბით. ეს ითქმის როგორც ეროვნული აგრეთვე ეკონომიური საკითხების შესახებ. ეს მეთოდი კაპიტალისტურ სამყაროს მეთოდია, ანტანტის საერთაშორისო გზაა, რომ თვითეული ჩაგრული ერი თვის წვენშივე იხარშებოდეს, თვითეული მუშა ყოველ-დღიურ წვრილმანური დღით ცხოვრობდეს. ჩაგრულ ერთა სოლიდარობა მას აფრთხობს, დანაოჭებულ დაძარღვულ მუშათა კლასის შეერთება ძილს უფრთხობს და ამიტომაც იგი შესაფერ თადარიგს იკავებს.

რუსეთის რევოლიუციასთან სულიერი კავშირის გაწყვეტამ და დასავლეთ ევროპის გახრწნის პირად მდგომ ბურჟუაზიისთან სულიერ-ეკონომიურმა შეხვედრამ, შეავიწროვა ვიწრო ეგოისტური მეთოდები ლოღიკისა და დაგვავიწყა ცხოვრების მოვლენებზე ფართოდ შეხედვა. რასაც უშუალოდ განვიცდით, იმის და მიხედვით ვწონით ფაქტთა და მოვლენათა სიდიადეს, ან ღირებულებას. თუ რაიმე გვეტკინა, ცუდათ მიგვაჩნია მისი გამომწვევი მოვლენა; მსხვერპლის გაღება ჩვენს პირად ცხოვრებას არ ეგუება.

იდეალისთვის თავდადება აგერ აგერ საზღაპრო ხდება.

და ყოველივე ამას აქვს ჩვენს ცხოვრებაში ადგილი იმიტომ, რომ მეშჩანიზმის სნეულებით ვართ ყველა დაავადმყოფებულნი; პირადი ანგარიშა არ იცოდა რევოლიუციის განმცდელმა ქართველმა დემოკრატიამ 905 წელში; გრძელი ჯიბეები არ ქონდა დაკერებული ხალხისთვის მებრძოლთ 1917 წელში ისე, როგორც ეს მენშევიკური სუფევის დროს ხდებოდა.

ხალხისათვის ძტლად დადება ასულდგმულებდათ მპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლთ და კიდეც ასრულებდენ მას.

დღეს კი თუ ვინმე შემთხვევით მოსკოვში მოხვდა და იმ დროს იქ უპურობას წააწყდა, იგი მზად არის ამისათვის დიდ რევოლიუციას, გაცილებით უფრო დიდს, ვიდრე საფრანგეთის რევოლიუცია იყო, ჯვარი დაუსვას და სთქვას: იქ შიმშილობა, ბარბაროსობაა.

ამას ვუძახით ჩვენ მეშჩანურ მეთოდს მსჯელობისას, ამ ენით მოლაპარაკეს მეშჩანებს. მაგრამ ამ ენით ხომ დღეს თითქმის დემოკრატიის უმრავლესობა ლაპარაკობს საქართველოში, ეს სულისკვეთება ხომ მენშევიკურ-ანტანტურმა პოლიტიკამ უანდერძა მშრომელ ხალხს?

დიახ, ეს მენშევიკურ—ანტანტის კოალიციამ უანდერძა ჩვენს დემოკრატიას და ჩვენი ვალია, რომ ეს რევოლიუციონიზმის გამათახსირებელი ანდერძი დავხიოთ, დავხიოთ სამუდამოდ! რა საშუალებით? გონებრივი სიმკაცრით, რევოლიუციონური ჰკუას სისასტიკით.

აზრის გილიოტინა, აზრის ჯალათობა არის საჭირო ტვინის აპკის ქვეშ ხავს მოდებული გონების ჭაობის გასაწმენდათ· და რამდენად მალე მოხდება ეს პროცესი, იმდენად ადვილი იქნება პასუხის გაცემა კითხვაზე, არა მარტო პრესით, რომელიც ჩვენ მიზნად დავისახეთ წერილის დასაწყისში, არამედ საქმითაც, სინამდვილეში.

**ეფ. ხაჩინთელი.**

*) იხ. „სოც.-ფედ." № ერთი გზა ორი მიხვეული.

# ბათომი

### საქონელი საზღვარგარეთიდან საქართველოსთვის.

დღეს კონსტანტინეპოლიდან მოვიდა 2 გემი. ოსმალური „ენ დუნა" (ახალი ქვეყანა) და იტალიელი—„ჯორჯია" (საქართველო) რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს მეორეთ მოდის საბჭოთა ბათომში. ოსმალურმა გემმა მოიტანა 5000 ფუთი ფქვილით, იტალიელმა—მანუფაქტურა და სხვა საქონელი. ამ უკანასკნელ გემით მოვიდა ჯგუფი ფრანგი კაპიტალისტებისა, რომელთაც განზრახვა აქვთ სავაჭრო ურთიერთობა მოაწყოს რესპუბლიკის მთავრობასთან. ახლო ხანში მოელიან ტრიესტის ლოიდის დიდ სამგზავრო გემის მოსვლას და რამდენსამე სხვას.

### კონსტანტინოპოლის ამბები.

უკანასკნელი ცნობებით კონსტანტინოპოლიდან მენშევიკური მთავრობა ჟორდანიას მეთაურობით წავიდა პარიზში. კონსტანტინოპოლში დარჩა მარტო ხომერიკი. მოკავშირეთა წრეებმა არავითარი ყურადღება არ მიაქციეს მენშევიკურ მინისტრებს.

ვრანგელის ეტყობა, მალე აღუდგება აღსასრული, აქ დარჩენილ ჯარში გახრწნილება სუფევს. კაცები, ყაზახები, და ოფიცრები ათასობით მოუთმენლად მოელიან გემ „რეშიდ-ფაშის" დაბრუნებას, რომელთაც ოდესაში წავიდა ვრანგელის ჯარის მეორე ჯგუფი. რუსეთში დაბრუნება—ეხლა ერთად ერთი თემა, რომელიც აღელვებს ლტოლვილთა მასსას. რუსეთის საელჩოში მოიპარეს 20 ათასი ოსმალური ლირა. დაატუსაღეს 5 მონაწილე ამ ქურდობისა, რომელთაგან 3 ოფიცერია. საქმე გადაეცა რუსეთის სამხედრო-საველე სასამართლოს.

კონსტანტინოპოლში გარდაიცვალა გენერალი ყაზბეგი, ყოფილი კომენდანტი ვლადივასტოკისა და ყოფილი თავმჯდომარე ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა.

### საბერძნეთ ოსმალეთის ომი.

სტამბოლის 9 აპრილის გაზეთები იუწყებიან: საბერძნეთის ოფიციალური ცნობა აღნიშნავს, ოსმალეთის ჯარის ჩრდილოეთი. ნაწილმა ცოტათი წაიწია წინ, მისი სამხრეთი ნაწილი არტილერიით მიუახლოვდა ბერძნების პოზიციებს. საფრანგეთის მისია ათინაში ოფიციალურად უარყოფს ცნობას იმის შესახებ, რომ ვითომ ფრანგი ოფიცრები მონაწილეობას იღებდენ სამხედრო მოქმედებაში ქემალისტების მხრივ.

### ნიხრის გაუქმება და თავისუფალი ვაჭრობა.

ბათომის ოლქის სასურსათო კომიტეტის ბძანებით გაუქმებულია ვალდებულება იმ ბაზრის ფასებისა, რომელნიც არსებობდნენ 14 მარტამდე. ახალი ბრძანებით ხელ ახლათ დამტკიცდა ვაჭრობის თავისუფლება.

### საქონლის გაცვლა.

ოსმალელი ვაჭრები წინადადებას აძლევენ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს: ანატოლიის პორტებიდან ფქვილს მოვიტანთ იმ პირობით, რომ საქონელში გაგვიცვალოთო: სამ ფუთ ფქვილს ერთ ფუთ კეროსინში მოქცემთო.

### სურსათის ყიდვა.

სამეგრელოში და გურიაში გაიგზავნა სპეციალური კომისიები სურსათის საყიდლათ.

### პირად შემადგენლობის კონტროლი.

პროფკავშირების დროებითმა ბიურომ წინადადება მისცა რევკომს, რომ შეადგინოს კომისია—სახალხო კომისართა საბჭოსა, პროფკავშირების საბჭოსა, რევკომის საქართველოს განყოფილებისა და საგანგებო კომისიის წარმომადგენელთაგან საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეთა კონტროლისათვის.

# აზერბეიჯანში.

### ბაქოს საბჭოს მიმართვა მუშებისადმი.

ბაქოს საბჭომ მიმართა ქ. ბაქოს და მის რაიონების მუშებს შემდეგი მოწოდებით: „ამხანაგებო! პურის ულუფის შემცირება გამოწვეულია საბჭოთა ფედერაციის საერთო მძიმე მდგომარეობით, საბჭოთა აზერბეიჯანში ტრანსპორტის მოშლის გამო, სურსათ-სანოვაგის შემოტანის შემცირებით და, აგრეთვე იმ აუცილებლობით რომ საჭირო იყო მეზობელ რესპუბლიკების საქართველოს და სომხეთის დამშეულ მასების გამოკვება, რამაც გამოიწვია ბალახანა-საბუნჩინკის რაიონის მუშაობის ნაწილობრივი შეწყვეტა.

ბაქოს საბჭო სამარცხვინო დაღს ასვამს ანტი-საბჭოთა და პარტიების მენშევიკების, ესერების, დაშნაკელების და ირანის დემოკრატიულ პარტიას მუსავატების მოქმედებას, რომლებიც აწარმოებენ უსინიდისო პროვოკაციას ულუფის შემცირების ნიადაგზე და სცდილობენ მუშაობის შეჩერებით დაარღვიონ პროლეტართა რიგები და შიგნით სპონ საბჭოთა ძლიერება.

ბაქოს საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მოტყუებული მუშები მალე მიხვდნენ თავიან შეცდომას და დაუბრუნდნენ მუშაობას, მაგრამ მიუხედავათ ამისა ბაქოს საბჭოს საჭიროდ მიაჩნია მოუწოდოს წესრიგისაკენ და გაჰკიცხოს შეუგნებელ მუშათა ერთი ნაწილის მოქმედება, რომლებიც აჰყვნენ პროვოკაციას; წინადადებას აძლევს მათ მტკიცეთ იდგნენ დაზგებთან და შემდეგში აღარ გაიმეორონ ისეთი მოქმედება, რომელიც ძირს უთხრის თავისავე პროლეტარულ ხელისუფლებას. საბჭო აცხადებს, რომ კონტრ-რევოლიუციონერთა და ბოროტ-პროვოკატორთა წინააღმდეგ მიღებული იქნება უსასტიკესი ზომები. ამასთანავე ბაქოს საბჭო მოუწოდებს ბაქოს მუშებს ფხიზლათ იდგნენ საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე. თავის მხრივ ბაქოს საბჭო ყოველ ზომას იხმარებს მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. შეუპოვარი და ორგანიზაციულ შრომით ჩვენ ვაძლევთ შიმშილისა და ნგრევას. ბაქოს მუშებო. მეგობრულ და ენერგიულ მუშაობისაკენ. გაუმარჯოს საბჭოების ხელისუფლებას.

# 1 მაისის დღესასწაული

საქართველოს კომპარტიის ცენ. კომ. საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებამ შეიმუშავა შემდეგი თეზისები მომხსენებელთათვის, თემაზე „1 მაის ს დღე".

1. 1 მაისის [illegible] საერთაშორისო პროლეტარიატის [illegible] დაარსდა [illegible] მეორე ინტერნაციონალის პირველ ყრილობაზე პარიზში 1889 წ.

2. ეს დღე შეიქმნა მთელი მსოფლიო პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის სიმბოლო.

3. მუშები სტოვებდნენ სამუშაოს და გამოდიოდნენ ქუჩებში ლოზუნგებით: 1) პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით, 2) გაუმარჯოს 8 საათის სამუშაო დღეს, 3) ძირს ომი, 4) ძირს მუდმივი ლაშქარი.

ამ ლოზუნგებში იხატებოდა ერთსულოვნობა და სოლიდარობა. ყველა ქვეყნის პროლეტარიატისა, რომელიც მტრულ განწყობილებაშია კაპიტალისტებთან და მზად არის, ეომოს მათ.

4. მეორე ინტერნაციონალის მეთაურებმა დაივიწყეს თავისი ლოზუნგები და იმის მაგიერ, რომ ომისთვის ომი გამოეცხადებინათ, გააჩაღეს ძმათა სასაკლაო, გამოცხადებულ ყველა ქვეყნის იმპერიალისტთა მიერ და ლოზუნგის „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით"-ს მაგიერ წამოაყენეს ლოზუნგი „სამშობლოს დაცვა". მუშებს მოუწოდებდნენ უარი ეთქვათ კლასიურ ბრძოლაზე და შეთანხმებულიყვნენ ეროვნულათ ნაციონალურ ბურჟუაზიასთან. იმის მაგიერ რომ დაეცვათ 8 საათის სამუშაო და მოუწოდებდნენ მუშებს ყოველი ღონე ეხმარათ სამშობლოს დასაცავათ და გულდაგულ უყურებდნენ როგორ იმონებდა მუშათა კლასს ბურჟუაზია.

5. მაგრამ ომის პროცესში ვითარდებოდა კლასობრივი წინააღმდეგობა და ინგრეოდა დაწყობილი მთლიანობა. მუშათა კლასი შორდება მეორე ინტერნაციონალს. დარწმუნებული, რომ მეორე ინტერნაციონალმა უღალატა მუშათა საქმეს და თავის ტრადიციებს.

6. ბურჟუაზიის გამდიდრება და მუშათა გაღატაკება თანდათა აღრმავებდა კლასობრივ წინააღმდეგობას და ამით ანგრევდნენ დაწყობილ მთლიანობას. რევოლიუციონური მოძრაობა, რომელიც იზრდებოდა ყველა სახელმწიფოებში განხორციელდა ყველაზე ჩამორჩენილ და დანგრეულ მხარეში რუსეთში, ოქტომბრის რევოლიუციის სახით.

7. მთელი ქვეყნის პროლეტარები პოულობენ თავის სამშობლოს მუშათა და გლეხთა საბჭოთა რუსეთში და მოსკოვში ეყრება საძირკველი მესამე ინტერნაციონალის რევოლიუციონურ მოქმედებათა ცენტრს.

8. მესამე ინტერნაციონალი აყენებს მთელ ქვეყანაში საბჭოთა წყობილების დაწესებისათვის აქტიურ ბრძოლის ლოზუნგს მოკლე ხნის განმავლობაში მესამე ინტერნაციონალი აძლიერებს და აფართოებს თავის გავლენას და გამოდგება ბურჟუაზიულ წესწყობილების ნამდვილ მტერათ.

9. მთელი ქვეყნის პროლეტარები, განადგურებული ომით და ახალ ომების წინაშე მდგარი, რწმუნდებიან, რომ კაპიტალისტთა კლასს არ შეუძლია მოაწესრიგოს წარმოება და სძლიოს ეკონომიური კრიზისი, გრძნობენ, [illegible] აუცილებელია თვითონ მიჰყონ ხელი წარმოებას. სოციალისტურ წყობილების განხორციელება დღევანდელ დღის საკითხია.

10. მაგრამ ბურჟუაზია თავის ბატონობას უბრძოლველად არ დასთმობს. არა პარლამენტში ხელის აწევით, დაწყდება ხელისუფლების გადასვლის საკითხი. ჩვენ ვდგევართ უკანასკნელ ომის წინაშე და მხოლოდ მთელი ძალების შეკრებით, მთელი მსოფლიო მუშათა სრულ სოლიდარობით ჩამოგდებულ იქნება ბურჟუაზიის ბატონობა და ამიტომ ჩვენ ვამბობთ: გაუმარჯოს სამოქალაქო ომს.

11. საქართველოს პროლეტარიატი 1-ლ მაისს ხვდება განახლებულ ცხოვრების განთიადზე, ამ დიად დღეს, მთელი მსოფლიოს რევოლიუციონურ [illegible] ქრის და ვალიერების დღეს საქართველოს მუშას შეუძლიან სიამაყით სთქვას, რომ მან უარჰყო ბურჟუაზიულ იდეოლოგიის გზა და მე-3-ე ინტერნაციონალთან ერთად დაადგა ბრძოლის გზას და სოციალიზმის ზეიმს გამარჯვებისას.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ საბჭოთა ხელისუფლებას. გაუმარჯოს მე-3-ე ინტერნაციონალს. გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათს, აპრილის 21-ს საღამოს 7 საათზე სოციალისტ-ფედერალისტთა ბიუროში

ამხ. **სიმონ ზუნდაძე**

წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე:

# საბჭოთა რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა

## ახალი ამბები

— **მოსწავლეთა დათხოვა.** სასწავლებელთა მთავარ გამგეს ცირკულიარულად აცნობა სასწავლებელთა დირექტორებს და საშუალო სასწავლებელთა გამგეებს, რომ სახალხო განათლების კომისარიატის დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის ყოველგვარ სასწავლებელთა მოსწავლენი უნდა დათხოვნილ იქმნენ სააღდგომოთ 27 აპრილიდან.

— **გამოცდების მოსპობა.** თანახმად სახალხო განათლების კომისარიატის დადგენილებისა, მოწაფეების გადაყვანა კლასიდან კლასში ან ატესტატების მიცემა უნდა სწარმოებდეს წლიურ ნიშნების მიხედვით.

— **ხალხური რევკომს.** სოფელ აზგასერალისში მოქალაქეებმა (ბორჩალოს მაზრა) მიტინგზე მოისმინეს რა მოხსენება შესახებ საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებისა მიწის მუშათა და ღარიბ მწარმოებელთადმი, მიიღეს რეზოლიუცია საქართველოს რევკომისადმი მისალმებით. რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ სოფელ აზგა-სერალის მცხოვრებნი მიიღებენ ყოველივე ღონისძიებას ყველა მინდვრების დასახნავათ და დასათესად და აგრეთვე ყანების დასამუშავებლად.

— **წყალსადენი.** ქალაქისათვის ყოველდღიური წყლის მიწოდება უდრის 1,200,000 ვედროს. წყლის ეს რაოდენობა მაინც არ კმარა, რის გამოც ხელახლად შეკოლებულია რაიონში წყლის მიწოდება, ფილტრებით იწმინდება 80 პროცენტი მიწოდებულ ქალაქისადმი წყლისა და 20 პროცენტი იწმინდება დასალევი მანქანით.

— **„მუშების გლოვა".** რედაქციამ მიიღო სიმღერა გუნდისთვის დ. არაყიშვილისა. ტექსტი ეკუთვნის ბელეტრისტ სოფრომ გლახაშვილს. ნოტი დასურათებულია და გამოცემულია სუფთად და ლამაზად. გამოცემის საფასურიდან 20 პროცენტი გადადებულია ვაჟას ობ ების სასარგებლოდ.

— **საგარეო ვაჭრობა საქართველოსან.** ბათომი. 16—4. ოლქის რევკომმა ნება დართო უცხო.-კომერსანტების ჯგუფს იტალიის გემით „ელდოსაი" გაემგზავრონ ხვალ კონსტანტინოპოლში საქონლის შესასყიდათ. გემს თან ნავთი მიაქვს, რომელიც საგარეო ვაჭრობის კომიტეტმა გაიტანა.

— **კვარცხანის მუშების სალამი.** ბათომი. 16—4. კვარცხანის მადნის ქარხნის მუშებმა დაადგინეს მრავალ რიცხოვან მიტინგზე მიესალმონ საბჭოთა რუსეთს და მუშათა და გლეხთა წითელ ლაშქარს.

— **ეკატერინოფელდში.** ეკატერინოფელდის კომიაჩეიკა. ეკატერინოფელდში დაარსებულია საბჭოთა დაწესებულებათა და გრუკავროსტას მოსამსახურეთა პირველი კომიაჩეიკა. მოწყობილია კომიაჩეიკის ყოველ კვირეული საჯარო სხდომები სასაუბროთ. ამ საუბრებზე დასწრება შეუძლიანთ ყველა მსურველებს.

— **გრუკავროსტას სასადილო.** გრუკავროსტა ბორჩალოს საოლქო განყოფილებასთან გაიხსნა სასადილო ყველა თანამშრომლებისათვის და აგრეთვე კომპარტიის ყველა პასუხისმგებელ მომუშავეთათვის.

— **ფოთის მუშათა შორის.** ფოთი 17—4. ფოთის კვანძის მუშათა და მოსამსახურეთა კრებაზე 12 აპრილს ამორჩეულ იქნა პროფკავშირი, სადაც განსაკუთრებ. კომუნისტები შევიდნენ. კრებამ ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: „ჩვენ ფოთის რაიონის მუშები და მოსამსახურენი მივესალმებით საქართველოს სოციალისტურ მთავრობას, რომელიც მუშათა კლასის ინტერესებს იცავს. გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ მთავრობას. გაუმარჯოს ინტერნაციონალს.

— **სააგენტოების პუნქტი შავი-ზღვის ნაპირებზე.** ფოთი 17—4. რედუტ-კალისა და ანაკლიაში გრუკავროსტას სარაიონო პუნქტები გაიხსნა.

— **ლენის ამბების სახსოვრათ.** ფოთი 17—4. 17 აპრილს ლენაში მუშების დახვრეტის სახსოვრად გაიმართა მიტინგები, ამ დღის აღსანიშნავად გამოიცა მოწოდებები.

— **სახელმწიფო დრამის თეატრში** კვირას, 24 აპრილს პირველად ამ სეზონში წარმოდგენილ იქნება ტრიფ. რამიშვილის პიესა „შეშლილნი" პიესას სდგამს რეჟისორი ალ. წუწუნავა. შაბათს, 23 აპრილს მესამედ „ლალაჭი".

## რადიო

**იტალიის ფინანსიური მდგომარეობა.**

**რომი.** აპრილის 13 იტალიის პრესსა, არკვევს რა იტალიის თანამედროვე მდგომარეობას, აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დროს ქვეყნის ფინანსები განმტკიცდა, ვინაიდან იკლო იმ—პორტმა. დიდი გავლენა მოახდინა აგრეთვე იმ ფაქტმა, რომ უკანასკნელ დროს საზღვარ გარეთიდან იმატა ფულის დინამ იტალიაში.

**ანტანტა და გერმანია.**

**პარიზი.** აპრილის 13. ელჩების კონფერენციამ თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა მოკავშირეთა შორის კომისიის განცხადება, რომ გერმანიაში აღდგენილი იქნას სამოქალაქო ავიაციის მასალების დამზადება. ამასთან ერთად ელჩების კონფერენცია შეუდგა იმ საკითხის განხილვას, რომ საოკუპაციო ჯარისაგან დაჭერილ ტერიტორიაზე განადგურებულ იქნას გერმანიის კუთვნილი სიმაგრეები.

**სამხედრო აჯანყება.**

**ლონდონი.** აპრილის 10. ვენიდან იუწყებიან ავსტრიის ჯარში დიდი აჯანყების შესახებ. ორი ოფიცერი, რომელთაც გასცეს ბრძანება ჯარისკაცები სასტიკად დაესაჯათ, დახვრიტეს. ცალკე სამხედრო ნაწილები ყაზარმებში გამაგრდნენ. მათ წინააღმდეგ გაგზავნეს ჯარის ნაწილები. დასაშოშმინებლად. აჯანყებულებმა ჩააბარეს იარაღი დაპირების შემდეგ რომ აჯანყებულთაგანი არავინ დაისჯებოდა.

**მდგომარეობა ინგლისში.**

**მოსკოვი.** საკოოპერაციო ბანკის გამგეობამ დაადგინა თუ საერთო გაფიცვა მოხდა, ადგილობრივ კოოპერატივებს დაავალოს მუშებისათვის საქონლისა და და ავანსად ფულის მიცემა, თუ მუშათა საფაბრიკო კავშირთა რწმუნებულები თავდებობას იკისრებენ. პრესა იტყობინება, რომ დიდი მზადებაა შეფილდში, ლივერპულში, მანჩესტერში და სხვა ქალაქებში გაფიცვის კომიტეტების მოსაწყობად, თუ საერთო გაფიცვა მოხდა. მუშების სამთა კავშირმა მიმართა ყველა მუშებს მოწოდებით შეკავშირდნენ ორგანიზაციულ კაპიტალის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს მოსპოს გამარჯვებაში, რომელიც მუშებმა მოიპოვეს დიდი ხნის და მძიმე ბრძოლით.

**ნორვეგიის მეზღვაურთა გაფიცვა.**

**სტოკჰოლმი,** 14-4. ქრისტიანიდან იტყობინებიან, რომ ნორვეგიის მეზღვაურთ და კაჩეგართა კავშირმა გაფიცვა გამოაცხადა, სამუშაო ხელფასის 30 პრო.-თ. დაკლების გამო. ქრისტიანიაში რამდენიმე გემი მიატოვეს გემის მოსამსახურეებმა.

**გაფიცვა ლატვიაში**

**რიგა.** 15-4. გაფიცვის გამო... (დამახინჯებულია)... მუშებს, ლატვიის პრესა აღნიშნავს, რომ კომუნისტებმა გამოუშვეს მოწოდება, რომლითაც მოუწოდებენ საყოველთაო გაფიცვისაკენ.

**ალებ მიმცემობა საბჭოთა რუსეთთან**

**მოსკოვი,** 17 4. საფრანგეთის ფინანსიური წრეები მოითხოვენ, მთავრობამ რუსეთთან შეურიგებელი პოზიცია შესცვალოს, ისინი ხაზს უსვამენ, საბჭოთა მთავრობის შერიგების სურვილს და აღნიშნავენ, რომ საბჭოთა რესპუბლიკის მოქმედებანი და პროექტები, რომლებსაც საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი არ იზიარებდა, ეხლა გულმოდგინე განხილვის საქმედ გადაიქცა.

## იმედი

იმედის კიბეს კიბე ედგმება,
იმედის კიბეს მივყვევარ ზევით;
ვინც მე მომყვებით, გწამდეთ ეს მცნება:
დიდხანს სასურველ დღეს მივეწევით.

—

იმედმა გულში ხმად დამიარა,
იმედის ხმაში, მწამს, არა ვცდები,
მწამს, რომ სულ მაღლა—ვარსკვლავს კი არა—
თვითონ ბრწყინვალე მზეს მივაწვდები!

1921 გაზაფხული. ი. მჭედლიშვილი.

**თესლეული ბულგარეთიდან**

**ოდესა.** 19 4. ბოლგარეთიდან გამოგზავნილი 220 ფუთი საბოსტნე თესლეულობა მხოლოდ ნაწილია იმ მარაგისა, რომელიც უკრაინის შეერთებულმა კოოპერატივებმა შეიძინეს. ამასთანავე ერთად მოლაპარაკება სწარმოებს გუთნების დიდი ტრანსპორტის შესყიდვის შესახებ, რომელთა ნაწილიც ახლო მომავალში მოვა.

**ორთქლმავლების შეკეთება**

**მოსკოვი.** 18 4. (რადიო) მარტში საბჭოთა რუსეთის რკინის გზებზე შეაკეთეს 718 ორთქლმავალი, ამას გარდა შეაკეთეს სასურსათო მარშრუტებისთვის აღმადგენელ შეკეთებით 64 ორთქლმავალი. ამ გვარათ სულ შეაკეთეს 782 ორთქლმავალი ანუ დასახულ მიზნის 98 პროც. შეკეთება მარტში უფრო ნაყოფიერად სწარმოებდა, ვიდრე თებერვალში, როდესაც შეაკეთეს მხოლოდ 691 ორთქლმავალი. ყველაზედ უკეთესად მუშაობდა მოსკოვ-კურსკის რომელმაც დასახულ მიზნებს გადააჭარბა 34 პროც.

**ვაგონების შეკეთება**

**მოსკოვი.** 16-4. მარტში საბჭოთა რუსეთის რკინის გზებზე შეაკეთეს 9096 ვაგონი. შეკეთების დასახულ მიზანს გადააჭარბეს 9 პროც. ვაგონების შეკეთება სწარმოებდა გაცილებით უკეთ, ვიდრე თებერვალში; მარტში შესრულეს დასახულ მიზნის 109 პროც. თებერვალში კი 97 პრ.

**სასოფლო სამეურნეო ინვენტარის მოწოდება.**

**დონის-როსტოვი.** 15 4 დონის მიწად მოქმედების განყოფილებამ წარსულ წლის ბოლოს დაგზავნა ოლქში 35000 გუთანი, გაზაფხულზე დამატებით გაგზავნის 1000 გუთანს. მიწათმოქმედების განყოფილების საწყობში მოვიდა მრავალი სათადარიგო მასალები და აგრეთვე 110 სანიავებელი მანქანა, 250 სალეწი, 20„ სათიბი, 550 სამკელი, 32000 ხერხი, 25000 ნიჩაბი, 6 ორთქლის სალეწი, 9000 ცელი და ბევრი სხვა იარაღი. ამას გარდა გაგზავნილია 17000 ფ. რკინა და 37500 ლურსმანი.

**რევოლიუციონური მოძრაობა ინგლისში.**

**ნაუენი.** 16—4. რეიტერის სააგენტოს არავითარი იმედი არა აქვს საყოველთაო გაფიცვის თავიდან აცილებისა სხვანი უფრო იმედიანად უყურებენ საქმესა.

**ლონდონი.** 15—4. საყოველთაო გაფიცვა გადაიდო. მუშებისა და პარტიების მხრივ მოელიან ახალ წინადადებებს.

**ნაუენი.** 16 – 4. რკინის გზელთა კომერციულ დაწესებულების მსახურთა წინადადებით ინგლისის საყოველთაო გაფიცვის ვადა გადაიდო. ხელ-ახალი მოლაპარაკება დაიწყო.

**საბერძნეთში.**

**ათინა.** 15—4. გენერალი დესმანისი გენერალურ შტაბის უფროსად დაინიშნა.

**მოძრაობა სერბიის წინააღმდეგ.**

**სტამბოლი.** 16—4. დურაცოს ცნობით ალბანეთში სერბიის წინააღმდეგ მოძრაობას საშიშარი სახე ეძლევა.

**ახალი რეპრესიები გერმანიის წინააღმდეგ.**

**ნაუენი,** 16 4. ლოიდ-ჯორჯმა, ქვედა პალატის შეკითხვაზედ, არის თუ არა ინგლის საფრანგეთის შორის შეთანხმება გერმანიის წინააღმდეგ ახალი იძულებითი ზომების მიღების შესახებ უარყოფითი პასუხი გასცა. ამავე დროს მეორე შეკითხვაზედ—არის თუ არა მზად ბრიტანეთის მთავრობა გერმანიაში ახალი ნაწილების დაპყრობის განზრახვა წინასწარ აცნობოს ქვედა პალატას ლოიდ-ჯორჯმა სწორე პასუხი არ გასცა. გერმანიის საზოგადო აზრს ის დასკვნა გამოყავს, რომ ინგლისის მხრივ მოსალოდნელი არ უნდა იყვეს საფრანგეთის მოქმედებისადმი რაიმე სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა.

**ნაუენი** 16 4. ინგლისის ახალშენები, ახალ ზელანდის გარდა, მომხრე არიან მონაწილეობა მიიღონ გერმანიის წინააღმდეგ იძულებითი ზომების მიღებაში.

**ნაუენი.** 16-4. „ჩეხო დეპეში" იუწყება: მილერანის თავმჯდომარეობით ფოშის და ვეიგანდის მონაწილეობით შემდგარ საფრანგეთის კაბინეტის სასწრაფო სხდომის საგანი იყო „რუსის ბასეინის" სამხედრო ოკუპაციის და პირველ მაისიდან გამბურგის მიმართ შესაძლებელ ბლოკადის გეგმა. „ბაზლერ ნახრიხტენ" იუწყება, რომ ამ სხდომაზედ გადამწყვეტი დადგენილება გამოიტანესო.

**საქონლის გაცვლა-გამოცვლის სამზადისი.**

**ხარკოვი.** 15-4. უკრაინის სახალხო მეურნეობის საბჭომ დაამზადა საქონელი სოფლისათვის, რომელსაც შეადგენს ლითონის ნაწარმოები, მარილი და თევზების საპონელი. ეს საქონელი 5,000 ფუთი პურზე უნდა გადაიცვალოს.

**თესვის დაწყება.**

**პეტროგრადი,** 17 4. რიბინსკსა და ნიჟნი ნოვგოროდის შორის გემების ყოველდღიური მიმოსვლა დაიწყო. სამგზავრო გემებიც მოდის.

**ფულის მოჭრა.**

**პეტროგრადი.** 17 4 გამომუშავებული და დამტკიცებული იქმნა ზარაფხანაში სამუშაოთ გეგმა, ახლო მომავალში ფულის მოჭრის განახლების გამო. ფულის მოჭრაზედ 1240 კაცი იმუშავებს.

**მუშები აგარაკზე.**

**მოსკოვი.** აპრილის ბოლო რიცხვებში ტვერიდან პირველი მატარებელი გადის, რომელშიაც მოათავსებენ 100 კაცს მოსკოვში, მეორე კი ტულიდან, რომელშიაც მოათავსებენ 100 კაცს კავკასიაში. მოსკოვის მუშები ამ დღეებში გაიგზავნებიან.

**ოდესაში.** აპრილის დამლევს ოდესაში გაემგზავრება მატარებელი წითელი არმიელებით.

**რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკასა და შორეულ-აღმოსავლეთის რესპუბლიკის შორის დადებულ ხელშეკრულების რატიფიკაცია.**

**მოსკოვი,** 17-4 სრ. რუსეთის ცენტრ. აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმმა, განიხილა რა 14 აპრილის დადებული ხელშეკრულება რ. ს. ფ. ს. რ. რესპუბლიკასა და შორეულ-აღმოსავლეთის რესპუბლიკის შორის, და დაამტკიცა იგი მთლიანად აღნიშნა რომ ხელშეკრულება დაურღვევლად უნდა იქნეს დაცული.

**სრ. რუს. ცენტრ აღმასრულებელ კომიტეტის მესამე სესია.**

სრ. რუს. ცენტრ. აღმ. კომიტეტის მესამე სესია შეიკრიბება 15 მაის. სრ. რუს. ცენტრ. აღმას. კომიტეტის ყველა თავის ადგილებს და მოსკოვში მყოფი წევრები მოწვეულნი არიან დანიშნულ დროსათვის კრემლში. სესიის დღიური წესრიგი: 1) პრეზიდიუმის მოხსენება თავის მუშაობაზე. 2) მოხსენება კომიტეტის შემადგენლობის გადასინჯვის შესახებ. 3) შრომის სახალხო კომისარის მოხსენება. 4) მოხსენება ტვერის გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტისა 8) ადგილობრივ ტრანსპორტის დეკრეტის პროექტი.

**ახალი ტკბილი ნივთიერების აღმოჩენა**

**მოსკვა.** 18 4. საზღვარ-გარეთის გაზეთებში გაჩნდა ცნობები, რომ პარაგვაიაში აღმოაჩინეს ახალი ტკბილი ნივთიერება შაქარზე 150-180-ჯერ ტკბილი. ის აღმოაჩინეს მცენარედან, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი „კაახეს" უწოდებენ.

**უპარტიო წითელ არმიელთა კონფერენცია.**

**კავკავი** 16 4. პიატიგორსკში მომხდარი წითელ არმიელთა კონფერენციის პირველი სხდომა აღინიშნა ყველა წითელ არმიელებისადმი მოწოდებით, სადაც აღნიშნავენ რომ თავიდან მოიშორონ მშრომელთა ყველა მტრები და იდგნენ ჩვენ გმირ წითელ არმიელების მონაპოვართა სადარაჯოზე.

**საქონელი სპარსეთიდან.**

**მოსკოვი.** 18. 4. 1 მარტამდე სპარსეთიდან ჩამოვიდა: ბრინჯი 300 ათას ფუთამდე, ქიშმიში—20,000 ფუთი, ამ ჟამად სპარსეთში იტვირთება გემი საბჭოთა რუსეთისთვის 30000 ფუთი ბრინჯით.

**ევროპასთან საქონლის გაცვლის გაფართოება.**

**მოსკოვი.** 17-4. ინგლისიდან ნოვოროსიისკში ჩამოვიდა ორი გემი, რომლებმაც საბჭოთა რუსეთისთვის ჩამოიტანეს სამეურნეო მანქანები, მედიკამენტები, ძაფები, ელექტრონის ლამპები, ტყავი, საზარინი და მეაბრეშუმეობისთვის საჭირო საგნები. დადებულია ხელშეკრულება საფრანგეთის ფირმასთან, რომელმაც უკვე მისცა საქონელი.

## სახალხო სასურსათო კომისრის ბრძანება

1) ყველა აგენტებს, რომლებიც იგზავნებიან პროვინციაში ტფილისის სასადილოების ან და მუშათა და მოსამსახურეთა სხვა ორგანიზაციების მიერ, სურსათის, სათბობ მასალის და ფურაჟის სასყიდლათ, უნდა მიეცეს შესაფერის მანდატები, სახალხო სასურსათო კომისრის ან მის მოადგილის მიერ ხელმოწერილი.

2) ამ მანდატების გარდა ამ აგენტებს უნდა მიეცეს წერილები სათანადო სამაზრო სასურსათო კომიტეტების სახელზე, და ამ წერილებში აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული ის, თუ რამდენი ფული აქვს მიცემული ყიდვისათვის აგენტს და სახელდობრ რა ნაწარმოებების და დაახლოვებით რამდენის ყიდვა აქვს მას დავალებული.

3) ის საქონელი, რომელიც ეძლევა აგენტებს საქონლის გაცვლა გამოცვლის საწარმოებლათ, იგზავნება მხოლოდ სამაზრო სასურსათო კომიტეტის ან სხვა სასურსათო ორგანოს სახელზე იქ სადაც სასურსათო კომიტეტის აგენტი მიერ ნაყიდი ნაწარმოებები უნდა გაიგზავნოს ტფილისში მხოლოდ სახალხო სასურსათო კომისარიატის სახელზე.

4) აგენტები აწარმოებენ სყიდვას მხოლოდ ადგილობრივ სასურსათო ორგანოების საშუალებით, ამ მაზრაში ან რაიონში დაწესებულ ფასების მიხედვით.

5) სახალხო სასურსათო კომისარიატისაგან გაცემულ თანხების მიღების შემდეგ აგენტებმა მაშინვე დანიშნულ ადგილზე ჩასვლისთანავე უნდა გადასცენ ეს თანხები ადგილობრივ სასურსათო ორგანოს, რომელსაც შეაქვს ისინი სახალხო სასურსათო კომისარიატის ანგარიშზე.

6) ყველა აგენტები (იხ. § 1.) აუცილებლათ ხელმძღვანელობენ „ინსტრუქციით მუშებისა და მოსამსახურეების სასადილოებისათვის," რომელიც დაწესებულია სახალხო სასურსათო კომისარიატის მიერ.

7) ამ ბრძანების და ინსტრუქციის შეუსრულებლობისათვის პასუხის მგე-

ბლობა ეკისრება კომიტეტს, სასადილოების გამგეებს და აგენტებს.

სახალხო სურსათო კომისარი მ. ოკუჯავა.

საორგანიზაციო განყოფილების გამგე ბ. მელჩარსკი

## საყურადღებო დადგენილება.

მიუხედავათ იმისა, რომ არა ერთხელ იყო გამოქვეყნებული დებულება, რომელიც აკლებდა რესპუბლიკის ყველა დაწესებულებებს და კერძო პირებს, უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან და ქვეშევრდომებთან ყოველიფერი ურთიერთობის დაჭერას, მხოლოდ და მხოლოდ გარეშე საქმეთა კომისარიატის საშვალებით დღემდის მის პირწმინდათ დაცვაზე არავის უფიქრია. გარეშე საქმეთა კომისარიატი სავსეა საჩივრებით, რომელთაც მას უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები უდგენენ. ამის მიხედვით გარეშე საქმეთა კომისარი სხვა კომისრებთან შეთანხმებით აცხადებს:

1) არც ერთს რესპუბლიკის დაწესებულებას და მით უფრო მოხელეს არა აქვს უფლება არავითარი ოფიციალური ურთიერთობა იქონიოს უცხოელთა მისიებთან, საკონსულოებთან ან კერძო პირებთან თუ არა გარეშე საქმეთა კომისარიატის საშვალებით ან ნებართვით.

2) რესპუბლიკის მოხელეთ სასტიკად ეკრძალება მოახდინონ უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომების ბინების რეკვიზიცია, შესჭიდროება, გაჩხრეკა ან მორთულობის აღრიცხვა თუ მათ წინასწარი თანხმობა არ ექნებათ საამისოთ გარეშე საქმეთა კომისარიატისაგან.

იმ შემთხვევაში როდესაც უცხოელი რაიმე ბოროტ მოქმედებას ჩაიდენს საბჭოთა რესპუბლიკის ორგანოები და მოხელენი ხელმძღვანელობენ საერთო სისხლსამართლის კანონმდებლობით.

უცხოელ კერძო პირთა ბინების გაჩხრეკა დასაშვებია მხოლოდ სისხლის სამართლის საერთო კანონების მიხედვით.

3) რესპუბლიკის მოხელეთ და დაწესებულებებს სასტიკად ეკრძალებათ მოახდინონ რეკვიზიცია, აღრიცხვა, მაგარ ფასებზე შესყიდვა უცხოელთადმი კუთვნილი საქონლისა, მხოლოდ რესპუბლიკის გარე ვაჭრობის ორგანო (ცნეშტორგს) ან მისგან დავალებულ ორგანოებს აქვთ უფლება იქონიონ კომერციული ურთიერთობა ადგილობრივ უცხოელ კომერსანტებთან.

შენიშვნა: 1) ზემოაღნიშნული მუხლი არ ეხება წვრილ ვაჭრობას.

შენიშვნა: 2) თუ აღნიშნული ორგანო (ცნეშტორგი) არაა დაინტერესებული ამა თუ იმ უცხო ფირმისათვის კუთვნილი საქონლის შესყიდვაში უკანასკნელი თავისუფლად ასაღებს მას

კომისარიატი აცხადებს, რომ მის განკარგულებაში იქნება განსაკუთრებული ოაზში, რომელიც თვალყურს ადევნებს ამ დადგენილების ასრულებას.

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე მ. ორახელაშვილი. სამხედრო და საზღვაო კომისარი ელიავა. გარეშე საქმეთა კომისარი ა. სვანიძე. იუსტიციის კომისარი ა. ნაზარეტიანი. განსაკ. კომისიის თავმჯდომარე ცინცაძე.

## ლაზების ძველი და ახალი

ლაზები და ლაზისტანი თამარ მეფეს დიდათ ჰყვანდა მიღებული. ამიტომაც გახლდათ, რომ თამარ მეფეც ლაზისტანში ძრიელ ხშირათ სცხოვრებდა, ამის მიზეზებია, რომ ლაზისტანის ყველა ძველს ნაშთების კეთებას სულ თამარ მეფეს აწერენ. თვით მუსულმანების ნაშთებს და რომელსაცკი მას აკუთვნებენ. 1885 და 1890 წლებში, ვნახე ლაზები და შევიტყვე რომ მათში ყველა ლაზმა იცის თამარ მეფის სახელი რომ იგი ქართველი მეფე იყო.

„ქართლის ცხოვრებით“ და ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიით“ ვიცით, რომ ლაზები მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნეში დიდათ იყვნენ ამაღლებულნი, დაწინაურებულნი სწავლა-განათლების მხრით, სამხედრო ნიჭიერებით, საომარი იარაღის კეთებით და მეზღვაურობით, რასაც ბარონ უსლარიც ასაბუთებს. სულ ეს მათი ღირსება გახლდათ მის მიზეზათ, რომ თამარ მეფე ლაზებს ისეთის დიდის პატივის ცემით ეპყრობოდა.

ლაზების ასე დაწინაურებამ და ნიჭიერებამ თამარ მეფეს მისცა დიდი საბუთი, რომ თვით ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში, ლაზები იქმნენ უპირველეს გმირებათ და მოღვაწეებათ ჩარიცხულნი, რასაც ჩვენი ისტორიაც ასაბუთებს, ტრაპიზონის იმპერიას, თამარ მეფემ ერთგულ მცველათ ლაზები დაუყენა გარს, იმ დროს, ლაზებმა ბიზანტიური ენა ისე იცოდნენ, როგორც თავის დედა ენა ლაზურ-ქართული.

დასაბუთებულია, რომ ტრაპიზონის იმპერიის შინაური და გარეგან წესწყობილების განმტკიცება და გაძლიერება პირდაპირ ლაზებს და მათს ენერგიულის შრომას ეკუთვნის. საქმე ისე მოეწყო, რომ მთელი სამცხე-საათაბაგოც კი ლაზებზე და ლაზისტანზე იქმნა მიწერილი და შეერთებული. ამ გვარის ერთგულის მოქმედებით ლაზები იყვნენ გარდამეტებული ნაციონალისტები, და ესენი ისე იცავდენ თავის ქვეყნის საზღვრებს და ისეთი წესები აქვნდათ დადგმული რომ მის ხელისხლებას ვერც ბიზანტიელნი ახერხებდნენ, ვერც სომეხნი და ვერც ოსმალნი. ყველას ეშინოდათ ლაზების.

ლაზების ნაციონალური ძლიერება ისეთი ძლავრი იყო და ამაღლებული, რომ იგინი ტრაპიზონის იმპერიის მართვა-გამგეობის დროს, ყველგან სულ ქართულს ენას ხმარობენ და ქართულ წერა-კითხვას. ქართული ენა და წერა-კითხვა მათ ისე უყვარდათ, რომ თვით ლაზისტანის ტრაპიზონის მთავარეპისკოპოზსაცკი ეწოდ ეპისკოპოსი ხალთისა რაც ნიშნავდა თურმე ეპისკოპოსი ქართლისა, ბიზანტიელნი ქართლის მაგიერ ხალთას ხმარობენ თურმე.

ეს ცნობა ჩვენ აქ მიტომ მოვიყვანეთ, რომ ვიცოდეთ ლაზის ის ნაციონალური სულის ძლიერება და საქართველოს წინაშე ერთგული სამსახური, რომლითაც ლაზები უხვად იყვნენ დაჯილდოვებულნი, ლაზების განვითარების და კულტურულად მომზადების შესახებ, თვით ძათშიაც არის ბევრი რამ ზეპირის ამბებით დაშთენილი და ერთ ამბავს ჩვენც მოვიყვანთ აქ, რომ აწინდელმა ლაზებმა კარგად იცოდნენ თავიანთ წინაპრების მაღალი ღირსება და შემძლებლობა.

თამარ მეფემ ტრაპიზონის იმპერიის დაარსების და გაძლიერების გამო, ისურვა ლაზისტანის საზღვრებში, ოთხი დიდი ეკლესიების აღშენება. ამ ოთხი დიდი ეკლესიის გაკეთების ზეპირი ცნობები ლაზებს გარდა, იციან გარდმოცემით, ართვინის გასომხებულ ქართველ კათოლიკებმაც.

ყველა ეს ნაშენი ეკლესიები ლაზებში შეამკეს, მორთეს, როგორც შინაგან, ისევე გარეგან, შინაგან მეტათ დიდს ყურადღებას იპყრობდა მარმარილოს თეთრსა და ლურჯს ქვაზედ ქანდაკება და ჩუქურთმის ხელოვნური ხელოსნობა, რის ერთი საშთი .895 წ. შავშეთს, ტბეთის ეკლესიაშიცკი იყო დაშთენილი, ეხლა, იქ ეს ქვა აღარ არის, სომხებს ჩამოუმტვრევიათ. ასე გადმოცემა იქვ. თაყაიშვილმა, ასეთ იშვიათ ჩუქურთმა ქანდაკების გარდა ხსენებული ნაშთები შესანიშნავი იყო კიდევ ფერადის წამლების მხატრობით, რასაც აქვნდა მეტათ დიდი ხელოვნური სნიფვნელობა, მაშინდელს დანატოვარს მურა თეთის დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი რაც მრავალათ იხილვება საქართველოს და თვით ლაზისტან შიაც.

გარეგან მორთულია სხვა და სხვა სუნოვანი ხეებით, როგორიც არის „მაგნოლია“ და სხვაც ამ გვარები. ერთის სიტყვით, ლაზებმა XII და XIII საუკუნეში ლაზისტანში შეამკეს როგორც სულხოვანი წალკოტი, მორთეს იგი და ძოკაზმეს დიდის შემკობილობით.

აწინდელმა ლაზებმა უნდა იცოდენ და ეხლა მაინც უნდა გაიცნონ ის გარემოება, თუ მათი წინაპრები როგორ იყვნენ დაწინაურებულნი და ან მათი სამშობლო ლაზისტანი როგორ იყო შემკობილი თვით მათ წინაპართა კულტურულის მარჯვენით, დავმძენთ აქ მოკლეთ ლაზების ახალგაზრდების საყურადღებოთ, რომ მათი წინაპრები ისე იყვნენ კულტურულათ დაწინავებულნი და ამაღლებულნი, რომ აწინდელის ლაზებისათვის დიდი სირცხვილი უნდა იყოს, რომ მათ თავიანთ წინაპართა გონივრული მოქმედების და მოღვაწეობის ცნობები არ იციან.

ლაზისტანის ძველის ნაშთების მშვენების მნიშვნელობა ლაზებს ისე კარგათ სცოდნიათ, რომ იგინი თურმე ხახულას, იშხანს, ანჩას და პარხალს დიდის მოწიწებით უყურებდენ, მის ყოველ შთენს იცავდენ დიდის სიფრთხილით და მასთან ლაპარაკობდენ შემდეგ საქებურს ცნობებს, რაცკი ხსენებულ ნაშთების ძვირფას მნიშვნელობას ეხებოდა. ეს ამბები მათში აქამდის იყო ზეპირ დაშთენილი.

ლაზები იტყვიან სახელი ქებულია საჰრელით, ანუ ვარდის მსგავს მოქარგულობით, რადგანაც კედლები ასე გაკეთებული, ერთი წყობა თეთრი ქვა ხჰარეს, მის ზემოთ მეორე ფერი ქვა, ასევე არის ზემოთ სხვა ფერის ქვა, ასევეც სხვები და მთელი აშენებულია ვარდის კონის მსგავსად სხვა და სხვა ფერით და ასევეც სხვა გვარი არის შემკობილი იგი.

არის ისეთი გარდმოცემანიც ლაზებში რაც დღეს ბევრმა აღარ იცის, ახალგაზრდებს მისი აღარაფერი ახსოვთ, იგინი სულ გათურქებულები არიან და დაკარგულნი, ესეთი ძველი ამბები იციან ისევ ძველ კაცებმა და ისიც ზეგნებულმა პირებმა, რომელთაც თავის ცინაობის კიდევ ახსოვთ ცოტა ოდენი ზეპირ გარდმოცემით რამე ისტორიული ცნობები.

ასეთი ლაზები არავის ეტყვიან, რომ იგინი ლაზები არ არიან და იგინი თურქები არიან, ან ქურთები, არა, ასეთებს კიდევ ახსოვსთ თავის წინაობის ცნობები, ამის შეგნებით დაკარგულები არიან უმეტესათ ახალგაზრდები და ისიც გლეხ-კაცობა. მივიდეთ ისევ ჩვენს ნაშთებზედ: ლაზები იტყვიან მშვენიერია ანჩა თავის კარგის წასულით და მის შესანიშნავის მორთულის ჰაეზ მილებით და შადრევანდით და ყველა ეს მარმარილოს ქვებით, ჩუქურთმიან ტიკინებით, თოჯებით და ბიზანტიურის ძველის ფიგურებით და ასეთის შემკობილები. რომელთაც გარსვე აკრავთ დასასვენებელი ადგილები და სხვა და სხვანაირი ტახტები.

ამნაირი საქმე გახლავსთ თავის მცენარეთა წალკოტებით და მასში მოწყობილ და დანერგილ ხეების მშვენებით და სილამაზით, რომელთა ხილვაც ლაზებს ყოველთვის ახარებს, ასულდგმულებს და გონებითაც ამაღლებს თავიანთ წინაპართა ღირსებაზედ.

პარხალი ქებულია თავის კარგი ჰავით და დასასვენებელის სიგრილით, ლაზები იტყვიან მისი ბუნება არის ზურმუხტისა და ლალისა, ამასთანავე ამ გარემოებას ამშვენებს და ამაღლებს ის გარემოებაც, რომ ამ ნაპრალს და კლდიან ალაგს გამრავლებულია ყველანაირი საჭირო და მარგებელ მცენარეთა რიცხვი, რომელთაგან შეზავებული და აღმოცენებული სულოვნება უადვილესათ ჰკურნავს და ჯანზედ აყენებს როგორც ავათმყოფებს, ისევე ჯან-საღებს და მასთან რამე სენის შეკრებულთ უკარგავს ყველა სატკივრებს და მათ ასაღკლდივებს სამუდამოთ, როგორც ხორციელით ისევე სულიერათაც, დღესკი ყველა ესენი მოსპობილია და გაპარტახებული აქ ოსმალეთის ზეგავლენით.

ლაზისტანის ახალგაზრდობას ვალი აწევს კისერზედ, რომ მათ თავიანთ მცონარეობას და ოსმალების მონობას თავი დასწიონ, თვალები გახილონ, სირცხვილია მათვის, რომ ასეთის კულტურული ერის შთამომავლობა ოსმალთა მონობას ასე ემორჩილებოდეს, მაგრამ ჩვენ პოლიტიკურათ ბრძოლას ხომ არ ურჩევთ და არც ვაქეზებთ, ვსთხოვთ, რომ მათ თავისი წინაპართა ისტორიულს კვალს ყურადღება მიაქციონ და დაიწყონ მეცადინეობა და ვაწმუნეთ რომ იგინი ლაზისტანში ბევრს რამე ძვირფას ნაშთებთა ცნობებს შეჰკრეფენ, რომელ ცნობებსაც გარს ევლებათ თვით ლაზების წინაპართა კულტურული შემძლებლობის დიადი მნიშვნელობა, აი ეხლაც მოვიყვანთ აქ ერთ გადმოცემას რაც ძველათ გავრცელებული იყო ლაზეთში და ეხლა კი ამისი და ზეპირ ხსენებული ნაშთების ცნობებიც აღარავინ არასფერი იცის, ყველაფერი დავიწყებულ დაკარგულია მათში.

ლაზებმა იციან ასეთი ამბები: თამარ მეფეს ერთხელ ზემოხსენებული ნაშთების კეთება დასჭირდა, ამიტომ მას თავის თავიდან ერთი თმა გამოუძვრია, ლაზებისათვის მიუცია, მერე ამ თმის საშვალებით ლაზებს ოქროს ხაზინა თუ მადნი უპოვნიათ და მერე ამით დაუმთავრებიათ ხსენებული ნაშთები. ამ ნაშთების გაკეთების შემდეგ თამარ მეფემ ლაზები დალოცა და მათი ხელოსნობა კურთხეულიც იქმნა, ამიტომაც იყო, იმ დღიდამ ლაზებში დიდს წარმატებას და გავრცელებას მიეცა სახელოსნო საქმეები.

თამარ მეფის დალოცვა და კურთხევისაგან ლაზელ ხელოსნებს ისე კარგათ წაუყვიდათ საქმე, რომ მთელი ლაზისტანის ხალხი სულ ხელოსნობის სწავლას გაჰყვნენ, მალე ისიც მოხდა, რომ მთელს საქართველოში სულ ლაზელი ხელოსნები მოიფინენ, ყველგან სახლებს, ხიდებს, კოშკებს გალავნებს, ეკლესიებს და სხვასაც ბევრს რამეებს სულ ლაზელი ხელოსნები აკეთებდენ.

ყველა ეს ცნობები აქ უფრო იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ლაზებმა იცოდნენ თავიანთ წინაპართა კულტურული შემძლებლობა, რომ მათი ძალები კულტურულათ ისე ყოფილან დაწინაურებულები რომ მათ შესძლებიათ ისეთი დიდი ისტორიული ნაშთების კეთებაც, რომელთა გაკეთება ბევრის ხალხისათვის შეუძლებელი იქნება და ნამეტნავ ისეთი ხალხისათვის, რომელნიც კულტურით გაცილებით დაბალ ხარისხზედ იდგნენ.

(შემდეგი იქნება)

ზ. ჭ.

## მემარცხენა ესერების საოლქო კომიტეტის კონფერენცია

დასაწყისი არ არის. მაგრამ პარტიის უმეტესობას შერჩა ბრძოლის ტრადიციები და ამ ტრადიციებში რომელშიაც მოთხოვნილი იყო ხავწყვიტოთ კავშირი ბურჟუაზიასთან და კომუნისტებთან შეთანხმებით ვიმუშავოთ.

მოსკოვის დემოკრატიულმა თათბირმა საბოლოვოდ გაუტეხა სახელი პარტიის ლიდერებს. მაშინ იქ დაისახა ერთად ერთი გზა ესერების შემდეგი მუშაობისათვის: ჩამოშორებოდნენ ბელადებს, უარეყოთ ისინი და დაეჭირათ მჭიდრო კავშირი კომუნისტებთან, რომელთანაც უნდა ეწარმოებინათ საერთო ბრძოლა რევოლიუციის ინტერესებისათვის. ამგვარათ, განაგრძოის მოხსენებელი,—პარტიის გულწრფელი რევოლიუციონურ-სოციალისტური ნაწილი ჩამოშორდა მოკადეტო ელემენტებს და დამოუკიდებელს პარტიას.

სინამდვილემ გვ ჩვენა, რომ ეს ნაბიჯი არ იყო მოუფიქრებელი: რევოლიუციის პროცესში მემარჯვენე ესერების პარტია აღმოჩნდა განადგურებული და საბოლოვოდ გაკოტრებული. სრულიად მოულოდნელი იყო 1918 წ. მოსკოვის ამბები ამიერ-კავკასიის მემარცხენე ესერებისათვის.

ჩვენ ან უნდა ცენტრთან დავრჩენილიყავით, ან ხელ-ახლათ უნდა ჩამოვშორებოდით. და ჩვენ ვარჩიეთ მეორე ჩვენმა კავკასიის კონფერენციამ 1919 წელს დაადგინა საოლქო კომიტეტის მოწყობა ცენტრალურ კომიტეტის ფუნქციებით და მისი განთავისუფლება ცენტრის ც. კ. მორჩილებიდან. იმავე კონფერენციამ დაადგინა ემუშავა სრული კონტაქტით ბოლშევიკებთან. თავის პარტიულ სახის შენახვით. ეხლა ჩვენი მიზანი უფრო გართულდა: ჩვენ უნდა ვეცადოთ მოვახდინოთ გავლენა ჩვენ რუსეთის ამხანაგებზე, ორი მიწინააღმდეგე მიმართულების—უსტინოველების და სპირიდონოველების შესარიგებლად. ბოლშევიკებთან მუშაობა არ უნდა შევწყვიტოთ, რადგან ამ შემთხვევაში მემარცხენე ესერები და სპირიდონელები უეჭველად შეეცდებიან ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას. მათ შემდეგ გარემოებათა შემაგუებელი ბურჟუაზია ეცდება ჩაიდინოს იგივე. აი ამიტომ მემარცხენე ესერების დროშის დაცვა, კომუნისტურ პარტიასთან თანხმობით არის საუკეთესო საშუალება. რათა არ მოხდეს ხელისუფლების ჩაგდების განზრახვა არც მემარჯვენე ესერების და არც სპირიდონოვის მომხრეების მხრივ, რომელთაც სახელი გაიტეხეს თავისი ტაქტიკით.

თვით ფაქტი მათი გამოსვლის—საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იმდენათ ბოროტია, რომ ჩვენ ვისწრაფით რა ყველა კომუნისტურ პარტიათა მთლიანობისაკენ, ვალდებული ვართ ვაწარმოვოთ სასტიკი ბრძოლა სპირიდონოველებთან.

კავკასიის საოლქო კომიტეტი, ტფილისის კომიტეტი და პარტიის პირველი კონფერენცია, ღებულობს რა მხედველობაში სპირიდონოველების ტაქტიკის სრულს დამღუპველობას, გამოსთქვამს აზრს, რომ აუცილებლად საჭიროა, მჭიდრო ბოლშევიკების პარტიასთან ერთობა. ამასთან მჭიდრო კავშირი საბჭოთა ხელის-უფლების განმტკიცების ნიადაგზე და იმ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელსაც ფარავენ ესერების დროშით, ამ ჟამად საოლქო კომიტეტის კონფერენცია ღებულობს შემდეგ რეზოლიუციას: მიგვაჩნია რა ბურჟუაზიის ნანგრევებზე სოციალისტურ რევოლიუციის გასავრცელებლად, საჭიროა რევოლიუციონურ სოციალიზმის ყველა კომუნისტურ პარტიათა მუშაობის კოორდინაცია დაეკალოს კავკასიის საოლქო კომიტეტს, თავის დამოუკიდებელ პარტიულ სახის შენარჩუნებით. გამოიმუშაოს ბოლშევიკების კომუნისტურ პარტიასთან ერთობის დირექტივები ერთად მუშაობისთვის და დელეგატების გასაგზავნად მე 3 მე კომუნისტურ ინტერნაციონალში.

ამხ. ვახტანგოვის მოკლე თანამოხსენების შემდეგ იმავე თემაზე, კონფერენცია ღებულობს წარდგენილ რეზოლიუციას.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემი დრ. მთავარი კომიტეტისა.

**დავკარგე** ტფ. სახელ. უნივერსიტეტიდან მოცემული პირადობის მოწმობა, ვადით 1920 წ. 15 ნოემბრამდე, რაიც გაუქმებულად ჩაითვლება.
826 სტ. ხიმონ კახნიაშვილი.

**დავკარგე** ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის ეკონომიური დარგის სტუდენტმა ბესარიონ ელიზბარის ძე გვასალიამ პირადობის მოწმობა და მატრიკული, რასაც ვაცხადებ გაუქმებულად. 827

სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის სტუდენტმა ალექსანდრე დიმიტრის ძე **კორძახიამ დავკარგე** პირადობის მოწმობა, რომელსაც ვსვთვლი გაუქმებულად. 834

**დავკარგე** პასპორტი მილიციიდან [illegible] № 3273 აღებული გიორგი მიხეილის ძე [illegible] შვილი გახოვთ გაუქმებულად [illegible] ლოთ. 829

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ვალერიან ბაგრატის ძე ბაკურაძემ **დავკარგე** პირადობის მოწმობა ჩაითვალოს გაუქმებულად. 832

ყოფ. გიმნაზ. დამაარსებელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე
**ამზადებს საშუალო სასწავლებლის**
ყველა კლასებში შესასვლელად და 4, 6 კლასის მოწმობაზე პლეხანოვის და ალექსის ქუჩ. კუთხე 25—5, 9—12 ს. 4—6 ს. 796

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურად სიფილისი (914 წ. 606) სქესობრივი სნეულება, ვენერიული ტრიპერი და შარდები.
ახალი მეზღვთავის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—12 საათ. საღ. 5—7 ს. 732